სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
190.040.000.22.033.014.009

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №904

2009 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქცია“ (დანართი №1).

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 22 დეკემბრის №936 ბრძანება „გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

კ. ბაინდურაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №640 - ვებგვერდი, 30.12.2011წ.
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 28 სექტემბრის ბრძანება №416 - ვებგვერდი, 11.10.2012წ.
3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №323 - ვებგვერდი, 30.09.2013წ.
4. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №373 - ვებგვერდი, 19.12.2014წ.

დანართი №1

გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქცია

მუხლი 1. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულა

1. გათანაბრებითი ტრანსფერი გაიანგარიშება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დამტკიცებული ფორმულის მიხედვით:

$$T=E-R,$$

სადაც,

T არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერი;

E – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი (თვითმმართველი ქალაქებისათვის E გამოისახება როგორც E_{city}, ხოლო მუნიციპალიტეტებისათვის $E - E_m$);

R – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა), რომელიც ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით.

2. იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომლის ბიუჯეტის შემოსავლები (გარდა გრანტებისა) აღემატება ამავე ბიუჯეტის ხარჯებსა და არაფინანსური აქტივების ზრდას, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა.

მუხლი 2. თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ხარჯებისა და არაფინასური აქტივების ზრდის ჯამი

თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ხარჯებისა და არაფინასური აქტივების ზრდის ჯამი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

თვითმმართველი ქალაქებისათვის: Ecity=Scity*Gcity%

მუნიციპალიტეტებისათვის: Em=Sm*Gm%

სადაც,

Ecity - თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი;

Em - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი;

Scity - თვითმმართველი ქალაქის სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების ხვედრითი წილი თვითმმართველი ქალაქების კოეფიციენტების საერთო მოცულობაში;

Sm - მუნიციპალიტეტის სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტების სტატისტიკური და გათანაბრებითი კოეფიციენტების საერთო მოცულობაში.

G ანუ **Gcity**-სა და **Gm** -ის ჯამი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობას, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

Gcity - თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის 69%-ით.

Gm - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა, განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინასური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის 31%-ით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №640 - ვებგვერდი, 30.12.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №323 - ვებგვერდი, 30.09.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №373 - ვებგვერდი, 19.12.2014წ.

მუხლი 3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების ხვედრითი წილის (S-ის) გაანგარიშება

S ანუ S_{city} და S_M გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$S_{city} = K_{city} / K_{tcity} \%,$$

$$S_M = K_M / K_{tM} \%,$$

სადაც,

K_{city} არის კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლი;

K_{tcity} – თვითმმართველი ქალაქების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლების (K_{city}-ების) ჯამი;

K_M – მუნიციპალიტეტის გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლი;

K_{tM} – მუნიციპალიტეტების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლების (K_M-ების) ჯამი.

მუხლი 4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გათანაბრებითი და სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულის ნამრავლის (K-ის) გაანგარიშება

K ანუ K_{city} და K_M გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$K_{city} = A_{city} * EC_{city},$$

$$K_M = A_M * EC_M,$$

სადაც,

A ანუ A_{city} და A_M წარმოადგენს კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის/ მუნიციპალიტეტის სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს.

EC ანუ EC_{city} და EC_M წარმოადგენს კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის/ მუნიციპალიტეტის გათანაბრებით კოეფიციენტს.

მუხლი 5. კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის/მუნიციპალიტეტის სტატისტიკური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის (A-ს) გაანგარიშება

A ანუ **Acity** და **Am** წარმოადგენს **P1, P2, P3, P4, P5** და **P6**-ის კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს, სადაც **P** - სტატისტიკური კოეფიციენტი, არის კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის სტატისტიკური მონაცემის ან/და სიმჭიდროვის კოეფიციენტის (გარდა აჟარის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებისა) შეფარდება მოცემული კოეფიციენტის (მუნიციპალიტეტისათვის, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა – მუნიციპალიტეტების შესაბამის მონაცემთა ჯამი, ხოლო თვითმმართველი ქალაქებისათვის – თვითმმართველი ქალაქების შესაბამისი მაჩვენებლების ჯამი) შესაბამის ჯამთან.

A ანუ **Acity** და **Am** გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$A=(\sum Pn)/n$$

სადაც,

n – წარმოადგენს **P**-ის რაოდენობას;

P ანუ **Pcity** და **Pm** წარმოადგენს სტატისტიკურ კოეფიციენტს, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Pcity = Ccity/CTcity\%$$

$$Pm = Cm/CTm\%$$

სადაც,

Ccity - წარმოადგენს კონკრეტული თვითმმართველი ქალაქის სტატისტიკურ მონაცემს ან/და მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტს;

CTcity – არის თვითმმართველი ქალაქების შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ან/და მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტების ჯამი;

Cm - წარმოადგენს კონკრეტული მუნიციპალიტეტის სტატისტიკურ მონაცემს ან/და მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტს;

CTm – არის მუნიციპალიტეტების შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ან/და მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტების ჯამი;

მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი(გარდა აჭარის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებისა) (**Cd)** მიიღება მოსახლეობის რაოდენობის (ათასებში) შეფარდებით შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ფართობთან (კმ^2-ში);

C1-ს, **C2**-ს, **C3**-ს, **C4**-ს, **C5**-ს, **Cd**-ს შეესაბამება შემდეგი სტატისტიკური მონაცემები და სტატისტიკური კოეფიციენტი:

მოსახლეობის რაოდენობა;

მოსახლეობის რაოდენობა, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე;

6 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა;

6-18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა;

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე;

მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი;“

გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების დროს, ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდან, აჭარის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებისათვის გამოიყენება ყველა სტატისტიკური მონაცემი გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძის და მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტისა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №373 - ვებგვერდი, 19.12.2014წ.

მუხლი 6. გათანაბრებითი კოეფიციენტების (EC) გაანგარიშება

EC – წარმოადგენს გათანაბრებით კოეფიციენტს და გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

EC= ST+ ES

სადაც,

ST – სტატუსის კოეფიციენტი;

ES – გათანაბრებითი ქულები.

მუხლი 7. სტატუსის კოეფიციენტის (ST-ის) გაანგარიშება

სტატუსის კოეფიციენტი (ST) მიიღება თვითმმართველი ერთეულის, დედაქალაქის, მაღალმთიანობის სტატუსების, იმ მუნიციპალიტეტებისათვის (აჭარა, ერედვი, ქურთა, თიღვი და ახალგორი), რომელთა ტერიტორიაც ოკუპირებულია სპეციალური კოეფიციენტის და დროებით მხარდაჭერის კოეფიციენტების ჯამით:

ST=SU+SCC+SHM+SO+STS

სადაც,

SU - წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სტატუსს და განისაზღვრება 1.0-ის ოდენობით;

SCC - წარმოადგენს დედაქალაქის სტატუსს და თვითმმართელი ქალაქების თბილისის და ბათუმისათვის განისაზღვროს 2.8-ის ოდენობით;

SHM - წარმოადგენს მაღალმთიანობის სტატუსს, რომელიც განისაზღვრება 0.1-ის ოდენობით და ენიჭება იმ თვითმმართველ ერთეულებს, რომლებშიც „მაღალმთიანი

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია არანაკლებ 10 დასახლებული პუნქტი;

SO - წარმოადგენს სპეციალურ კოეფიციენტს იმ მუნიციპალიტეტებისათვის (აჭარა, ერედვი, ქურთა, თიღვი და ახალგორი), რომელთა ტერიტორიაც ოკუპირებულია და განისაზღვრება 1.5-ის ოდენობით.

STS - წარმოადგენს იმ თვითმმართველი ქალაქების დროებით მხარდაჭერის კოეფიციენტს, რომლებიც არსებობდნენ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღემდე და განისაზღვრება:

- 2015 წლისათვის 0.5-ის ოდენობით;
- 2016 წლისათვის 0.3-ის ოდენობით;
- 2017 წლისათვის 0.1-ის ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №640 - ვებგვერდი, 30.12.2011წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 28 სექტემბრის ბრძანება №416 - ვებგვერდი, 11.10.2012წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №323 - ვებგვერდი, 30.09.2013წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №373 - ვებგვერდი, 19.12.2014წ.

მუხლი 8. გათანაბრებითი ქულების (ES-ის) გაანგარიშება

გათანაბრებითი ქულები (ES) გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

ES=AE+ESR

სადაც,

AE ანუ AE_m და AE_{city} – საშუალო გათანაბრება, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$AE_{city}=A_{acity}/ A_{city}\%/CC$$

$$AE_m=A_{am}/ A_m\%/CC$$

სადაც,

A_a ანუ A_{am} და AE_{acity} – წარმოადგენს A-ს საშუალო არითმეტიკულს, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამიჯვნით A_{am} არის მუნიციპალიტეტების A_m–ის საშუალო არითმეტიკული, ხოლო A_{acity} არის თვითმმართველი ქალაქების A_{city}–ის საშუალო არითმეტიკული;

CC – წარმოადგენს შემასწორებელ კოეფიციენტს და განისაზღვროს 1000-ის ოდენობით.

ESR არის გათანაბრებითი ქულა შემოსავლების გათვალისწინებით, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$ESR=SC_1+ SC_2+ SC_3$$

სადაც,

SC_1, SC_2 და SC_3 წარმოადგენენ მხარდაჭერის კოეფიციენტებს და აღნიშნული კოეფიციენტები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

SC_1 – 0.015;

SC_2 – 0.010;

SC_3 – 0.005;

მხარდაჭერის კოეფიციენტები (SC_1, SC_2 და SC_3) მიენიჭება შემდეგი წესის თანახმად:

პირველ ეტაპზე გაიანგარიშება თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების (გარდა გრანტების) პროგნოზი ერთ სულ მოსახლეზე (RPC), რომელიც მიიღება ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების (გარდა გრანტებისა) პროგნოზის (R)

შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრებში მცხოვრებ მოსახლეობის რაოდენობაზე შეფარდებით.

RPC–ზე დაყრდნობით გაიანგარიშება RPC_{am}, RPC_{ac} და RPC_{acity} მაჩვენებლები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ:

RPC_{am} – ყველა მუნიციპალიტეტის RPC–ის საშუალო არითმეტიკულს;

RPC_{ac} – ყველა თვითმმართველი ერთეულის RPC–ის საშუალო არითმეტიკულს;

RPC_{acity} – ყველა თვითმმართველი ქალაქის RPC–ის საშუალო არითმეტიკულს.

მეორე ეტაპზე გამოითვლება სხვაობა თითოეული თვითმმართველი ერთეულის RPC–სა და RPC_{am}, RPC_{ac} და RPC_{acity} მაჩვენებლებს შორის.

თუ თვითმმართველი ერთეულის RPC ნაკლებია RPC_{am}-ზე, მაშინ თვითმმართველ ერთეულს მიენიჭება SC1 მხარდაჭერის კოეფიციენტი;

თუ თვითმმართველი ერთეულის RPC ნაკლებია RPCac-ზე, მაგრამ მეტია RPCam-ზე, მაშინ თვითმმართველ ერთეულს მიენიჭება SC2 მხარდაჭერის კოეფიციენტი;

თუ თვითმმართველი ერთეულის RPC ნაკლებია RPCacity-ზე, მაგრამ მეტია RPCac-ზე, მაშინ თვითმმართველ ერთეულს მიენიჭება SC3 მხარდაჭერის კოეფიციენტი;

იმ თვითმმართველ ერთეულს, რომლის RPC მეტია RPCacity-ზე მხარდაჭერის კოეფიციენტი არ მიენიჭება;

თუ რომელიმე თვითმმართველი ერთეულის RPC აბსოლიტური სიზუსტით ემთხვევა, რომელიმე RPCam, RPCac ან RPCacity მაჩვენებლებს, მაშინ თვითმმართველ ერთეულს მიენიჭება მოცემულ ზღვართან არსებული მხარდაჭერის ის კოეფიციენტი, რომელიც უფრო მეტია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №640 - ვებგვერდი, 30.12.2011წ.

მუხლი 9. შემოსავლების გაანგარიშება

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შემოსავლების (R-ის) გაანგარიშებისას გაითვალისწინება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარი შემოსავლები (გარდა გრანტებისა).

2. შემოსავლები თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის იანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული სამი წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის („TREND“-ის) მიხედვით. შემოსავლების გაანგარიშებისათვის გამოიყენება EXCEL-ის ფუნქცია „TREND“-ი.

მუხლი 10. გარდამავალი დებულება 2015 წლის გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშებისათვის

2015 წლის გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშებისას თუ, კონკრეტული მუნიციპალიტეტის გათანაბრებითი ტრანსფერი ნაკლებია 2014 წლის მაჩვენებელზე, მაშინ აღნიშნული მუნიციპალიტეტის გათანაბრებითი ტრანსფერი განისაზღვრება 2014 წლის გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №373 - ვებგვერდი, 19.12.2014წ.